ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი-დეკემბერი 1973 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

88. ქ. თბილისის გამწვანებისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

89. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

90. საქართველოს სს რესპუბლიკაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარების, სახალხო მეურნეობაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლების შესახებ

91. რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის შემკვეთის სამსახურის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

92. ტყეებისა და მწვანე ნარგავების მქონე სამინისტროებსა და უწყებებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 ივნისის № 395 დადგენილების გავრცელების შესახებ

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

93. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი ბიუროს (მმაჩის) დებულების დამტკიცების შესახებ

94. მუშა მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მიერ ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებებით სადაზღვევო შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდის შესახებ

95. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი სისტემის ორგანოებთან საკოლმეურნეობათაშორისო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის შექმნის შესახებ

96. საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში. პარალელიზმის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ

97. მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის შემოღების შესახებ

98. მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის სახალხო მეურნეობაში გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა და ამასთან დაკავშირებული დამატებითი შეღავათების შესახებ

99. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 17 სექტემბრის № 677 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

100. მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის შექმნის შესახებ

101. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მინერალური წყლების საბადოთა ჰიდროგეოლოგიურ შესწავლასთან, კაპტაჟთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საუწყებათაშორისო საკითხების განმხილველი საკოორდინაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

102. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით ყოველწლიური სტატისტიკური კრებულების გამოცემის შესახებ.

103. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 24 ივლისის № 444 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

მუზ. 33
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

88 ქ. თბილისის გამწვანებისა და საბალო-საპარკო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქ. თბილისში გარკვეული მუშაობა განხორციელდა ქალაქის ტერიტორიის გასამწვანებლად, ახალი პარკებისა და ბაღების, სკვერებისა და დეკორაციული კუთხეების შესაქმნელად. ამასთანავე ახალი საცხოვრებელი რაიონების მშენებლობა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდა დაბეჯითებით მოითხოვენ ქ. თბილისის გამწვანების, გარემოს გაჯანსაღების, მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების სამუშაოთა საგრძნობლად გაფართოებას ამ დიდმნიშვნელოვანი სოციალური პრობლემის კომპლექსური გადაჭრის მიზნით.

მაგრამ მწვანე საფარის გაფართოების ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქის განაშენიანების ტემპს და არ შეესაბამება თანამედროვე სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. მწვანე მშენებლობა და საბალო-საპარკო მეურნეობა მოწყვეტილია ქალაქის მშენებლობის საერთო ამოცანების გადაჭრისაგან. ქალაქმშენებლობის პრაქტიკაში საკმარისად არ ითვალისწინებენ ლანდშაფტური არქიტექტურისა და დეკორაციული მებაღეობის, ქალაქის გამწვანების ესთეტიკის საკითხებს. გამწვანების მუშაობაში არ არის ჯეროვანი შეთანხმებულობა, გეგმიანობა, კოორდინაცია; დამაკმაყოფილებლად არ წყდება ხე-ბუჩქების ჯიშთა შერჩევისა და გამოყვანის საკითხები ქ. თბილისის ტერიტორიის კლიმატური პირობებისა და ჰაერის გაჭუჭყიანების გათვალისწინებით.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელები ჯეროვნად არ ზრუნავენ ნარგავების მუდმივი მოვლა-პატრონობისა და მათი საიმედო დაცვის უზრუნველყოფისათვის.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოები სრულად არ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს გამწვანებისა და ნარგავების დაცვის სამუშაოთა განსახორციელებლად, საკმარისად არ აბამენ ამ საქმეში ქალაქის მოსახლეობას.

საქართველოს სსრ სახმშენი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საკმარის ყურადღებას არ უთმობენ გამწვანების სამუშაოებს, ხოლო თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო სუსტად ხელმძღვანელობენ აღნიშნულ სამუშაოებს, არ უზრუნველყოფენ ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების სრულად და რაციონალურად ხარჯვას, ჯეროვნად არ ზრუნავენ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისა და მათ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, სუსტად ნერგავენ მექანიზაციას გამწვანების სამუშაოთა წარმოებაში, საკმარისად არ იყენე-

ბენ მეცნიერულ რეკომენდაციებსა და სხვა ქალაქების მოწინავე პრაქტიკულ გამოცდილებას გამწვანებისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის დარგში.

მწვანე მშენებლობის განვითარების არასაკმარისი ტემპი და ნარგავების ცუდი მოვლა-პატრონობა იმითაც არის გამოწვეული, რომ დღემდე გამწვანებისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის ექსპლუატაციის სამუშაოებს ქ. თბილისში ახორციელებენ სხვადასხვა სამინისტროები, უწყებები და საწარმოები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ქ. თბილისის პარტიის რაიონულ კომიტეტებსა და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კომკავშირულ ორგანიზაციებს, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელებს:

— უზრუნველყონ ქალაქ თბილისის გამწვანებისათვის დაწესებული დავალების უცილობლივ შესრულება, ამ სამუშაოს განხორციელება აგროტექნიკის ყველა წესის დაცვით; მოაწყონ ნარგავების მუდმივი მოვლა-პატრონობა და მათი განუხრელი დაცვა;

— ფართოდ მიიზიდონ მოსახლეობა ქ. თბილისის გამწვანებაში პრაქტიკული მონაწილეობისათვის, გააჩაღონ რაიონების, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლებისა და საცხოვრებელი კვარტალების სოციალისტური შეჯიბრება გამწვანების დაწესებულ დავალებათა წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დაევალოთ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა წახალისების პირობები და წარმოადგინონ დასამტკიცებლად დადგენილი წესით;

— მკაცრად დაგმონ დაუდევრობისა და უდარდელობის ყოველგვარი გამოვლინებანი მწვანე ნარგავების დაცვის საქმეში, ხოლო ხე-ბუჩქების განადგურებასა და ნარგავებისათვის სხვა ზიანის მიყენებაში დამნაშავე პირნი მისცენ მკაცრ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში.

2. დაევალოთ საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ქალაქის თითოეულ რაიონში დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ინსტიტუტებისათვის ნაკვეთების მიჩენის სქემა.

3. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოუყოს 1973-1975 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს ნაკვეთები ქალაქის ახალი საზღვრების ფარგლებში მინდორსაცავი ზოლებისა და მწვანე მასივების გასაშენებლად სახელშეკრულებო საწყისებზე, ამასთან მტკიცედ იხელმძღვანელოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის დამტკიცებული გენერალური გეგმის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებით.

კატეგორიულად აიკრძალოს მწვანე ნარგავების გასაშენებლად განკუთვნილი და დეკორაციული მცენარეებით დაკავებული ნაკვეთების გამოყოფა შენობა-ნაგებობათა მშენებლობისათვის.

4. ქ. თბილისის განვითარების გენერალური გეგმით დასახული მწვანე ნარგავების საქალაქო ზონის მნიშვნელოვანი გადიდების გამო, აგრეთვე ქ. თბილისის გამწვანების სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელობის განხორციელებისა და მათი კოორდინაციის მიზნით შეიქმნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველო.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დაამტკიცოს აღნიშნული საწარმოო სამმართველოს სტრუქტურა და შტატები, აგრეთვე განსაზღვროს მისი მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯები.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან და გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან ერთად სამი თვის ვადაში წარმოადგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წინადადებანი ქ. თბილისის მიდამოებში ხე-ბუჩქნარის სანერგისა და საყვავილე-საორანჟერეო მეურნეობის მოსაწყობად მიწების გამოყოფის შესახებ.

6. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მწვანე მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 ივნისის № 333 დადგენილების შესაბამისად დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს გადასცეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს ქ. თბილისის ახალ საზღვრებში განლაგებული ტყე-პარკების ტერიტორიები მთელი საბიუჯეტო ასიგნებებით, შრომის გეგმითა და მმართველობის აპარატის შესანახად გამოყოფილი ზღვრული ასიგნებებით.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად ყოველწლიურად გაითვალისწინონ შესაბამის ასიგნებათა გამოყოფა მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის სამუშაოთა შესრულებისა და კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე მწვანე და სანერგე-საორანჟერეო მშენებლობისათვის.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილების ყოველწლიურ გეგმებში გაითვალისწინოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოს მოთხოვნილება მანქანებზე, მექანიზმებზე, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე, აგრეთვე სასუქებზე, შხამქიმიკატებსა და მოწყობილობაზე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად გადასინჯოს ყვავილებისა და ხე-ბუჩქნარ მცენარეთა სარგავი მასალის გასაცემი საცალო ფასების პრეისკურანტი, ამასთან მხედველობაში იქონიოს მათი ერთიანი ფასების დამტკიცება და სამოქმედოდ შემოღება 1974 წლის 1 იანვრიდან.

10. აიკრძალოს საზოგადოებრივ ბაღებში, პარკებსა და სკვერებში მცირე არქიტექტურული ფორმების ყოველგვარი შენობა-ნაგებობების და საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის ობიექტების მოწყობა და მშენებლობა, აგრეთვე შენობათა გადაკეთება ან დაშენება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოსთან და მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოსთან შეუთანხმებლად.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს უზრუნველყონ 1974 წლის ბოლომდე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა მახათას მთაზე, კუს ტბაზე და ლისის ტბაზე, თბილისის ზღვის გარშემო, მდინარე ვერის ხეობასა და ვარაზისხევში, გლდანსა და დიღომში მწვანე მასივების მოსაწყობად, დასვენების ზონის დაგეგმარების მიზნით.

12. დაევალოთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს, „საკგზაპროექტის“ ინსტიტუტის თბილისის ფილიალს განახორციელონ 1973-1974 წლებში ქალაქის შემოსასვლელების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები.

საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შესრულება დაეკისროთ:

— მოსკოვ-თბილისის, ბაქო-თბილისის რკინიგზის უბნებზე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს „გზაპროექტის“ ინსტიტუტს;

— თბილისი-აეროპორტის ავტოსტრადაზე — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს;

— თბილისი-ერევნის, თბილისი-ბაქოს, თბილისი-ორჯონიკიძის ავტომაგისტრალებზე და დედაქალაქის ყველა შემოსასვლელთან მის მიდამოებში — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსა და „საკგზაპროექტის“ ინსტიტუტის თბილისის ფილიალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გააფართოოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ძვირფას და დეკორაციულ ხე-ბუჩქნარეულ მცენარეთა ინტროდუქციის დარგში ქ. თბილისის გამწვანებისას მათი გამოყენების მიზნით.

შეიტანოს შესაბამისი ინსტიტუტების 1974-1975 წლების თემატიკურ სამუშაო გეგმებში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს წარდგინებით ქ. თბილისის გასამწვანებელი მასივებისა და მიდამოების ნიადაგობრივი გამოკვლევის სამუშაოები და შეიმუშაოს რეკომენდაციები მწვანე მშენებლობისა და ბაღ-პარკების მეურნეობისათვის მათ ასათვისებლად.

14. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოაწყონ მომზადება:

ა) საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებისა გამწვანების და დეკორაციული მებაღეობის დარგში;

ბ) „დასახლებული ადგილების გამწვანების" სპეციალობის არქიტექტორებისა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე.

15. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინოს გამწვანებისა და დეკორაციული მებაღეობის სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების, მცენარეთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის აგროწესების, მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდიკური მითითებების, მწვანე ნარგავების გამოყენებისა და დაცვის წესების გამოცემა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შეკვეთით.

16. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოადგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად ქ. თბილისში მეყვავილეობის განვითარების ღონისძიებათა გეგმა იმ ვარაუდით, რომ დაკმაყოფილდეს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებანი ყვავილებზე მთელი წლის განმავლობაში.

17. დაევალოთ რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს სისტემატურად გააშუქონ ქ. თბილისის გამწვანების სამუშაოთა განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 13 ნოემბერი, № 685.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89 საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების მიზნით და საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ნოემბრის № 857 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაეგზავნოთ „საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ნოემბრის № 857 დადგენილება სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს, საბჭოთა მეურნეობებს და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს.

2. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადებანი, რომლებიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ გადაყვანილ იქნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის № 319 დადგენილებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 19 დეკემბრის № 1001 და 1971 წლის 14 იანვრის № 31 დადგენილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ნოემბრის № 857 დადგენილებით გათვალისწინებულ მუშაობის პირობებზე საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ყველა საბჭოთა მეურნეობა და სახელმწიფო სანერგე მეურნეობა 1974 წლის 1 იანვრიდან, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო საწარმოები — 1975 წლის 1 იანვრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთხოვოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაეთანხმონ ამ წინადადებას.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს უზრუნველყონ მიწების გამოყენების გაუმჯობესების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების, მისი ტექნოლოგიის სრულყოფის, მექანიზაციის დონის ამაღლებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენების, სამეურნეო ანგარიშის განვითარებისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება და ამ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება შრომისა და სახსრების უმცირესი დანახარჯებით, დამატებითი მოგების მიღება.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაზღვრავს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების იმ მეურნეობებისადმი მიკუთვნების პირობებს, რომლებზეც ვრცელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ნოემბრის № 857 დადგენილების მე-2 პუნქტის მოქმედება, წარმოუდგინონ ამ მეურნეობათა ნუსხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შემუშავებისას ასიგნებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხებში შეტანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების იმ ხარჯების დასაფინანსებლად, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ნოემბრის № 857 დადგენილების მე-2 პუნქტში.

საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ განახორციელოს ამ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიხედვით წლიური ანგარიშების დამუშავება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მითითებათა შესაბამისად.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მოაწყონ საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა, მთავარ ეკონომისტთა, მთავარ ბუღალტერთა და სხვა სპეციალისტთა გადამზადება მუშაობის ახალ პირობებზე სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გადაყვანასთან დაკავშირებით.

6. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ნოემბრის № 857 დადგენილების მე-8 პუნქტის შესაბამისად დაევალოთ საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსა და სხვა დამამზადებელ ორგანიზაციებს დროულად წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინის-

№ 6 ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროს იმ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაანგარიშება, რომლებიც 1974 წლიდან გადადიან მუშაობის ახალ პირობებზე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი დამამზადებელ ორგანიზაციათა ბიუჯეტებში.

7. საქართველოს კპ საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა და ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა შეიმუშაონ და განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ნოემბრის № 857 დადგენილების განუხრელი შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებანი, რისთვისაც ფართოდ გაშალონ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა სამეურნეო ანგარიშის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაობის ყველა რგოლში სახელმწიფო, შრომისა და საფინანსო დისციპლინის გაძლიერებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 4 დეკემბერი, № 727

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 857

1973 წლის 20 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადება იმის შესახებ, რომ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად 1974-1975 წლებში დამთავრდეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ყველა საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გადაყვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის № 319 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრებ. 1967 წ. № 10, მუხ. 55) და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 19 დეკემბრის № 1001 და 1971 წლის 14 იანვრის № 31 დადგენილებებით (სსრკ დადგ. კრებ. 1971 წ., № 2, მუხ. 14) გათვალისწინებულ მუშაობის პირობებზე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განსაზღვრონ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მუშაობის აღნიშნულ პირობებზე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გადაყვანის ვადები.

2. დაწესდეს, რომ ზარალიან და დაბალრენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რომლებიც საკმარისად არ არიან აღჭურვილი ძირითადი ფონდებით:

ა) საწარმოო დანიშნულების ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება ხორციელდება საკუთარი სახსრების ხარჯზე, ხოლო მათი ნაკლებობისას — ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების მატება და პროდუქტიული და მუშა პირუტყვის ძირითადი ჯოგის ფორმირებისათვის საჭირო დანახარჯები ხორციელდება საკუთარი სახსრებით, ხოლო მათი ნაკლებობისას — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტებით, რაც 2 წლით ეძლევათ იმ შემთხვევებში, როცა კრედიტის დაფარვა შეუძლებელია აღნიშნული საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საკუთარი სახსრებით, ეგი ხორციელდება ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე;

გ) საბინაო და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის, ამ მეურნეობათა მუშაკებისათვის სათბობის რეალიზაციის დაგეგმილი ზარალი, აგრეთვე სხვა დაგეგმილი ზარალი იფარება ამ მეურნეობათა მოგების ხარჯზე, ხოლო მისი ნაკლებობისას — ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით განსაზღვროს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების იმ მეურნეობებისადმი მიკუთვნების პირობები, რომლებზეც ვრცელდება ამ პუნქტის მოქმედება. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაამტკიცონ ამ მეურნეობათა ნუსხები.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაითვალისწინონ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შემუშავებისას ასიგნებანი აღნიშნულ ნუსხებში შეტანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების იმ ხარჯების დასაფინანსებლად, რომლებიც გათვალისწინებულია ამ პუნქტში.

სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ განახორციელოს ამ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიხედვით წლიური ანგარიშის დამუშავება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული მოცულობით.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის № 319 დადგენილების მე-14 პუნქტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 19 დეკემბრის № 1001 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესდეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსდება საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შემდეგი დაგეგმილი დანახარჯები:

ა) საწარმოების, მეფრინველეობის ფაბრიკების (გარდა მეფრინველეობის ფაბრიკების გაფართოებისა), სასათბურო-საკვალსათბურო კომბინატებისა და მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეთევზეობის პროდუქტების წარმოების კომპლექსების მშენებლობისათვის, რომელთა სატიტულო სიებს ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები;

ბ) საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სამედიცინო და ბავშვთა დაწესებულებების, კლუბების, აბანოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების, სამელიორაციო და გასაწყლიერებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემების და მათი ნაგებობების მშენებლობისათვის, კულტურტექნიკური სამუშაოებისათვის;

ახლად საექსპლუატაციოდ გადასაცემ მეცხოველეობის კომპლექსებში, მეფრინველეობის ფაბრიკებსა და დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პროდუქტიული და მუშა პირუტყვის ძირითადი ჯოგის ფორმირებისათვის და მათი საკუთარი საბრუნავი სახსრებით გამოყოფისათვის.

შენარჩუნებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე საოპერაციო დანახარჯებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების დაფინანსების წესი.

4. დაწესდეს, რომ ტორფის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გამოყენების, მჟავე ნიადაგების გაკირიანებისა და ბიცობიანი ნიადაგების გათაბაშირიანების სამუშაოთა კომპლექსის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები (კირიანი სასუქების, ფიქალის ნაცრისა და თაბაშირის ღირებულების, მათი გადაზიდვისა და ნიადაგში შეტანის ხარჯების ჩათვლით), აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ამ სამუშაოთა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია კოლმეურნეობებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 მარტის № 221 (სსრკ დადგ. კრებ., 1964 წ., № 4, მუხ. 28) და 1965 წლის 1 აპრილის № 256 (სსრკ დადგ. კრებ., 1965 წ., № 8-9, მუხ. 54) დადგენილებებით.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობების სამინისტროებსა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსებს, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (საკავშირო დაქვემდებარების მეურნეობების მიხედვით) იმ შემთხვევაში, თუ აკლიათ სადაზღვევო ფონდის სახსრები სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის დასაფარავად, ბანკის არაუზრუნველყოფილი დავალიანების გასასტუმრებლად და საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შესავსებად, კრედიტი 3 წლამდე ვადით. დაწესდეს, რომ აღნიშნული კრედიტი იფარება სადაზღვევო ფონდის სახსრების ხარჯზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის დაფარვის საკითხის გადაჭრამდე არ წაუყენოს გადასახდევინებლად საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მათთვის მიცემული, საწარმოო ხარჯებისათვის განკუთვნილი მოკლევადიანი კრედიტები, როცა ნათესების დაღუპვის შედეგად ეს ხარჯები ვერ ნაზღაურდება პროდუქციის მიღებით.

6. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის № 319 დადგენილების მე-7 პუნქტის დამატებით დაწესდეს, რომ ზარალიან საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო საწარმოებში მატერიალური წახალისების ფონდი იქმნება ბუ-კნელ 3 წელიწადში ზარალის საშუალო ოდენობასთან შედარებით მისი შემცირების თანხის 15 პროცენტის ოდენობით (მაგრამ არა უმეტეს საწარმოს მთელი პერსონალის ხელფასის წლიური დაგეგმილი ფონდის 12 პროცენტისა) და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი — ამ თანხის 10 პროცენტის ოდენობით, იმ პირობით, თუ ამავე პერიოდში გადიდდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

იმ ზარალიან საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რომლებშიც მატერიალური წახალისების ფონდი არ შეიძლება წარმოიქმნას ამ პუნქტში გათვალისწინებული პირობებით, აგრეთვე დაბალრენტაბელურ მეურნეობებში აღნიშნული ფონდი იქმნება ზემდგომი ორგანიზაციის ნებართვით საწარმოს მთელი პერსონალის ხელფასის წლიური დაგეგმილი ფონდის 2 პროცენტამდე ოდენობით.

7. დაწესდეს, რომ მატერიალური წახალისების ფონდში და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში მოგების ანარიცხების ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის № 319 დადგენილებით, მუშაობის ახალ პირობებზე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გადაყვანის წელს მცირდება 25 პროცენტით.

8. დამამზადებელ ორგანიზაციათა დამატებითი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია 1974 წელს მუშაობის ახალ პირობებზე გადასაყვანი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვასთან კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ შესასყიდ ფასებში, გაღებულ იქნეს იმ განთავისუფლებული ასიგნებებიდან, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში გათვალისწინებულია საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების გასადიდებლად და საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პროდუქციის რეალიზაციის გამო მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად. 1974 წელს მუშაობის ახალ პირობებზე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გადაყვანასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები გაღებულ იქნეს იმ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დასაფინანსებლად. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის ურთიერთანგარიშსწორებაში.

9. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების პირობები იმ მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე, სადაც ყველა აღნიშნული საწარმო ადრე იყო გადაყვანილი სრულ სამეურნეო ანგარიშზე, ვრცელდება საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დასაფინანსებლად 1974 წელს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოფილი ბიუჯეტის ასიგნებათა შეუმცირებლად. ამასთან დაკავშირებით უფლება მიეცეთ აღნიშნული რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დართონ საჭირო შემთხვევებში 1975 წელს ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე ამ დადგენილების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი იმ ობიექტების მშენებლობის დასაფინანსებლად, რომელთა სატიტულო სიებს ამტკიცებენ ამ რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.

10. უფლება მიეცეთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გადაანაწილონ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის მუშაობის ახალ პირობებზე მათი გადაყვანის წელს ძირითადი ფონდების მთლიანად აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები.

11. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ყველა ახლადშექმნილ საბჭოთა მეურნეობასა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოზე.

*

* *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები, სპეციალისტები და მუშები მიწის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების, მისი ტექნოლოგიის სრულყოფის, მექანიზაციის დონის ამაღლებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენების, სამეურნეო ანგარიშის განვითარებისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების საფუძველზე უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის მკვეთრ ამაღლებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას შრომისა და სახსრების უმცირესი დანახარჯებით, დამატებითი მოგების მიღებას და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბრეჟნევი.**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

90 საქართველოს სს რესპუბლიკაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარების, სახალხო მეურნეობაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკაში გაუმჯობესდა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები. გამოგონებათა დანერგვის შედეგად განვლილ ხუთ წელიწადში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაზოგილია 15 მილიონ მანეთზე მეტი.

ამასთანავე რესპუბლიკაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის განხორციელებული მუშაობის დონე სრულად არ შეესაბამება პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. ყოველწლიურად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოყენებას პოულობს რესპუბლიკის საწარმოებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში შემუშავებულ გამოგონებათა 10 პროცენტზე ცოტა მეტი.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა გამოყენების საკითხებს, რის შედეგადაც მათი მუშაობის გეგმებში საკმაო მოცულობით არ შეაქვთ გამოგონებათა დონეზე შექმნილი ნაკეთობების, მასალების წარმოებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ათვისების დავალებანი.

ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში, გეოლოგიურ ორგანიზაციებში, დამზადების სამინისტროს, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროსა და ზოგიერთ სხვა სისტემაში განვლილი ხუთი წლის მანძილზე წარმოებაში არ დანერგილა არც ერთი გამოგონება.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა რესპუბლიკაში საგამომგონებლო საქმის შემდგომ განვითარებას, სახალხო მეურნეობაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლებას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაეგზავნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აგვისტოს № 575 დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარების, სახალხო მეურნეობაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შეიტანონ აღმოჩენათა და გამოგონებათა საფუძველზე შექმნილი ახალი მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობის, მასალების წარმოების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისა და ათვისების დავალებანი, მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების სახელმწიფო გეგმის პროექტში ან სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გეგმათა პროექტებში; აგრეთვე გაითვალისწინონ შესაბამის სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განსახორციელებლად და ნაკეთობათა საცდელი ნიმუშების დასამზადებლად საჭირო ფულადი და მატერიალური სახსრების გამოყოფა, ამასთან დააწესონ წარმოებაში ამ ნამუშევრების დანერგვის კონკრეტული ვადები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს სადარგთაშორისო ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვან გამოგონებათა შემოწმებისა და წარმოებაში დანერგვის სამუშაოთა საკოორდინაციო გეგმები.

4. დაევალოს საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგებში გამოგონებათა გამოყენების მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეიტანოს კონკრეტული წინადადებანი შესაბამის სამინისტროებში, უწყებებსა და მართვის სხვა ორგანოებში.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს:

— დააწესონ კონტროლი საზღვარგარეთ გასაყიდად გათვალისწინებული მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობის, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების საპატენტო სიწმინდის უზრუნველყოფისადმი;

— მიიღონ ზომები, რათა განმტკიცდეს სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალურ აპარატში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში არსებული საპატენტო განყოფილებანი და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებანი, აგრეთვე შეიქმნას აღნიშნული ქვედანაყოფები იქ, სადაც ეს საჭიროა, და უზრუნველყონ მათი დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით;

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შემდგომ ამაღლდეს ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაცია გამომგონებლობისა და დაპატენტების საკითხებში, გამოიყენონ ამისათვის საწარმო „პატენტის“ თბილისის ფილიალთან არსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი უმაღლესი სახელმწიფო კურსების ფილიალი.

6. რჩევა მიეცეთ საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიტანონ, მოყოლებული 1974 წლიდან, სო-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალისტური შეჯიბრების პირობებში მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ წარმოებაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებისათვის გაწეული მუშაობის მდგომარეობას.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ და მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად გავრცელებისა და წარმოებაში გამოყენებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის გასაძლიერებლად.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ უზრუნველყონ ქართულ ენაზე სახელმძღვანელო მასალების გამოცემა გამომგონებლობის, საპატენტო-სალიცენზიო საქმისა და რაციონალიზაციის საკითხებზე.

8. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უზრუნველყონ კონტროლი რესპუბლიკაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებისათვის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლებისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის განვითარებას სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგში, მიიზიდონ ამ ამოცანის გადასაჭრელად მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკთა ფართო მასები, ამასთან შექმნან შეუწყნარებლობის ვითარება წარმოებაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის საკითხში გაჭიანურების ფაქტების მიმართ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 25 დეკემბერი, № 748

მუზ. 90
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 575

1973 წლის 20 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

ჩვენს ქვეყანაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარების, სახალხო მეურნეობაში ალმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ ალმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ფართოდ გამოყენება ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტას და საშუალებას იძლევა შეიქმნას მანქანები, ხელსაწყოები, მასალები და ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით სჯობნიან საუკეთესო სამამულო და მსოფლიო მიღწევებს. განვლილი ხუთი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა გამოყენების შედეგად დაზოგილია მილიარდ მანეთზე მეტი.

ამასთანავე საგამომგონებლო საქმის ორგანიზაციაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ამ მუშაობის დონე სრულად არ შეესაბამება პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. სამინისტროები და უწყებები სუსტად იყენებენ გამოგონებებსა და ალმოჩენებს წარმოებისა და გამოშვებული პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. ყოველწლიურად სახალხო მეურნეობაში გამოყენებას პოულობს ქვეყანაში რეგისტრირებულ გამოგონებათა მხოლოდ დაახლოებით მესამედი.

სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და საწარმოები ნაკლებად ამუშავებენ პრინციპულად ახალ, მაღალეფექტიან ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, მთელ რიგ შემთხვევებში არ იყენებენ არსებულ გამოგონებებს ნაკეთობათა შექმნისა და სრულყოფისას. საპატენტო დოკუმენტაციის სუსტი გამოყენება და შექმნილ ნაკეთობათა და ტექნოლოგიურ პროცესთა სიახლის არასაკმარისი გამოკვლევა ხშირად იწვევს სამუშაოთა დუბლირებას და მატერიალური და ფინანსური სახსრების დაუსაბუთებელ ხარჯვას უკვე ცნობილ ტექნიკურ გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად.

მთელ რიგ შემთხვევებში სამინისტროები და უწყებები სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის შეფასებისას არ ითვალისწინებენ ნამუშევრების სიახლესა და საპატენტო დაცვადობას, გამოგონებათა გამოყენებას ნამუშევრებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგონებათა გამოყენების მასშტაბსა და ვადებს, მათს მნიშვნელობას ტექნიკურ-ეკონომიურ ეფექტიანობას.

სახალხო-სამეურნეო სამუშაოთა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების სახელმწიფო გეგმაში, სამინისტროთა და უწყებათა გეგმებში ნაკლებად შეაქვთ გამოგონებათა დონეზე შექმნილი ნაკეთობებისა და მასალების წარმოების ათვისების და ტექნოლოგიური პროცესების ათვისების დავალებანი.

ცალკეულ გამოგონებათა ექსპერტიზა გაუმართლებლად დიდ ხანს და ხშირად არასაკმარისი კვალიფიციურობით ხორციელდება. საპატენტო ინფორმაციის ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ შეესაბამება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

ჩვენს ქვეყანაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარების, სახალხო მეურნეობაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს:

შეიმუშაონ და განახორციელონ გამომგონებლობის შემდგომი განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი;

სისტემატურად განიხილონ გამოგონებათა და მეცნიერულ აღმოჩენათა გამოყენების საკითხები ახალ სახეობათა ნაკეთობებისა და მასალების წარმოების შემუშავებისა და ათვისების, ტექნოლოგიურ პროცესთა შემუშავებისა და ათვისების ყველა ეტაპზე, კონსტრუქტორთა, დამმუშავებელთა და მკვლევართა საქმიანობა წარმართონ როგორც პრინციპულად ახალი მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობის, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნისათვის, ისევე გამოშვებული მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობის, მასალებისა და გამოყენებული ტექნოლოგიის სრულყოფისათვის საგამომგონებლო აზრის უკანასკნელ მიღწევათა გათვალისწინებით;

შეუქმნან შემოქმედებითი საქმიანობის სათანადო პირობები გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რეალიზაციაში, უფრო ფართოდ მიაღებინონ მონაწილეობა ავტორებს თავიანთ წინადადებათა გამოყენებისათვის მოსამზადებელ მუშაობაში, შექმნან ამ მიზნით საჭირო შემთხვევებში ლაბორატორიები და სპეციალური ჯგუფები საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გაუგზავნოს ყოველწლიურად, არა უგვიანეს 15 მარტისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს წინადადებანი გამოგონებათა გამოყენების შესახებ, ამასთან გამოყოს სადარგთაშორისო ხასიათის გამოგონებანი, შესაბამის გეგმებში მათ შესატანად.

იმ გამოგონებათა გამო, რომელთაც დიდი ტექნიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ და დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გამოყენებული სახალხო მეურნეობაში, წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გაგზავნოს მთელი წლის განმავლობაში, რათა ეს გამოგონებანი დამატებით იქნენ შეტანილი შესაბამის გეგმებში.

3. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს შეიტანონ აღმოჩენათა და გამოგონებათა საფუძველზე შექმნილი ახალი მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობის, მასალების შემუშავებისა და წარმოების ათვისების, ტექნოლოგიურ პროცესთა შემუშავებისა და ათვისების დავალებანი, მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების კვალობაზე, შესაბამისად სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების სახელმწიფო გეგმის პროექტში და მოკავშირე რესპუბლიკების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გეგმათა პროექტებში, აგრეთვე გაითვალისწინონ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განსახორციელებლად და ნაკეთობათა საცდელი ნიმუშების დასამზადებლად საჭირო ფულადი და მატერიალური სახსრები. დააწესონ წარმოებაში ამ ნამუშევრების დანერგვის კონკრეტული ვადები.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს სადარგთაშორისო ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვან გამოგონებათა შემოწმებისა და რეალიზაციისათვის საცდელ-საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტულ სამუშაოთა საკოორდინაციო გეგმები.

5. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს:

დააწესონ კონტროლი საზღვარგარეთ გასაყიდად გათვალისწინებული მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობის, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების საპატენტო სიწმინდის უზრუნველყოფისადმი;

მიიღონ ზომები, რათა განმტკიცდეს სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალურ აპარატში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში არსებული საპატენტო განყოფილებანი და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებანი, აგრეთვე შეიქმნას აღნიშნული ქვედანაყოფები იქ, სადაც ეს საჭიროა, და უზრუნველყონ მათი დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით 3 თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ დარგობრივი დებულებანი აღნიშნულ განყოფილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს:

განახორციელოს სამინისტროთა და უწყებათა შეკვეთების მიხედვით საპატენტო გამოკვლევები დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე;

გაუწიოს სამინისტროებს, უწყებებს, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებსა და საწარმოებს მეთოდიკური დახმარება საპატენტო დოკუმენტაციის საფუძველზე ახალ ნაკეთობათა, მასალათა და ტექნოლოგიურ პროცესთა დამუშავების ტექნიკური დონის გამოკვლევების განხორციელებაში;

განახორციელოს იმ ახალ ნაკეთობათა და ტექნოლოგიურ პროცესთა პატენტუნარიანობისა და საპატენტო სიწმინდის სისტემატური საკონტროლო შემოწმება, რომელთა ათვისებაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმათა პროექტებში, და წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი წინადადებანი.

7. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაოს და განახორციელოს 1973 წელს ღონისძიებანი, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს გამოგონებათა ექსპერტიზის ხარისხი და შემცირდეს გამოგონებათა თაობაზე შეტანილი განცხადების განხილვის ვადები.

ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დააწესოს გამოგონებათა თაობაზე შეტანილი განაცხადების ექსპერტიზის განხორციელების ნორმატივები და განსაზღვროს აღნიშნული ნორმატივების საფუძველზე, მოყოლებული 1974 წლიდან, სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკთა საშტატო რიცხოვნობა და ხელფასის ფონდი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმოების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთაგან შეთავსებით მომუშავეთა გათვალისწინებით, აგრეთვე ამ ინსტიტუტის შტატგარეშე (არასაობრივი) შემადგენლობის იმ მუშაკთა ხელფასის ფონდი, რომლებსაც მონაწილეობას მიიღებინებენ გამოგონებათა თაობაზე შეტანილი განაცხადების ექსპერტიზის განხორციელებაში.

8. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უზრუნველყონ საპატენტო ინფორმაციით ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ახალ ნაკეთობათა და ტექნოლოგიურ პროცესთა დამუშავებას, ეფექტიანად გამოიყენონ ამ მიზნით დარგობრივი და ტერიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიული საპატენტო ფონდები, აგრეთვე გააუმჯობესონ დარგობრივი და სამეცნიერო-
გთაშორისო ინფორმაცია გამოყენებულ გამოგონებათა შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქ-
მეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს ყოველკვარტალურად საინფორ-
მაციო ბიულეტენის გამოცემა სსრ კავშირში გამოყენებულ გამოგონებათა შე-
სახებ.

მიღებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და
აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული სსრ
კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და მოსკოვის მშრომელთა დეპუ-
ტატების საოლქო საბჭოს აღმასკომთან, იმის შესახებ რომ მოსკოვის ოლქში
აშენდეს ამ კომიტეტის საწარმოო კომპლექსი მიზანდასახული საპატენტო ინ-
ფორმაციის ოპერატიული გამრავლებისა და გავრცელების უზრუნველსაყო-
ფად, აგრეთვე სპეციალისტ-პატენტმცოდნეთა მოსამზადებლად.

9. ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და
აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შექმნას ქ. მოსკოვში საპატენტო
მომსახურების სრულიად საკავშირო ცენტრი (სამეურნეო ანგარიშზე) ამ კომი-
ტეტის საწარმოო-პოლიგრაფიული საწარმოს საპატენტო მომსახურების გან-
ყოფილებათა ბაზაზე, ამასთან დააკისროს აღნიშნულ ცენტრს სახელშეკრულებო
საწყისებზე სამინისტროებისა და უწყებებისათვის დიდმნიშვნელოვანი ნამუ-
შევრების ფაქტიური დონის საპატენტო ძიების, სამრეწველო ექსპორტისა და
კომპლექტურ მიწოდებათა საპატენტო სიწმინდის საკონტროლო ექსპერტიზის,
დასამუშავებელი ობიექტების სიახლისა და საპატენტო სიწმინდის განხორცი-
ელება, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევა საზღვარ-
გარეთ დასაპატენტებლად დოკუმენტაციის მომზადებაში.

10. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექ-
ნიკის სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონე-
ბებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს სამინისტროებთან და
უწყებებთან ერთად 6 თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ სამეცნიერო-
კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საპროექტო-ტექნოლოგიურ ორ-
განიზაციათა მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის შეფასების წესი ნამუშევ-
რების სიახლისა და საპატენტო დაცვადობის, ნამუშევრებში გამოგონებათა გა-
მოყენების გათვალისწინებით, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 24 სექტემბრის № 760 დადგენი-
ლებით (სსრკ დადგ. კრებ., 1968 წ., № 18, მუხ. 122) დაწესებული სხვა მაჩვე-
ნებლების გათვალისწინებით.

11. საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა
და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სამინისტროებთან და უწ-
ყებებთან ერთად განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ სრულიად საკავშირო
სოციალისტური შეჯიბრების პირობებში შეტანილ იქნეს მაჩვენებლები, რომ-
ლებიც ახასიათებენ წარმოებაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ
წინადადებათა გამოყენებისათვის გაწეული მუშაობის მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ და მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად გავრცელებისა და წარმოებაში გამოყენებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის გასაძლიერებლად.

12. დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს განახორციელოს საგამომგონებლო, რაციონალიზატორული და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის მდგომარეობის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგებში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების მდგომარეობის სისტემატური ანალიზი, ამასთან შეიტანოს წინადადებანი აღნიშნულ საკითხებზე შესაბამის სამინისტროებში, უწყებებსა და მართვის სხვა ორგანოებში.

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად 6 თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა.

სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, ამ მეთოდიკის შესაბამისად, შეიტანოს საჭირო დაზუსტებანი სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემაში.

14. გამომგონებლობის შემდგომი სტიმულირების მიზნით დაწესდეს, რომ პირველ საავტორო მოწმობასთან ერთად, გამოგონების გამოყენების ფაქტის დადასტურებისას, გამოგონების ავტორს მიეცემა სამკერდე ნიშანი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება ამ ნიშნის შესახებ.

15. ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გამოიყენოს მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობისა და მასალების შესაძენად იმ ვალუტის 10 პროცენტი, რომელიც უცხოელ განმცხადებელთაგან მიიღება სსრ კავშირში გამოგონებების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების დაპატენტებისა და რეგისტრაციისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით.

16. ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შემოიღოს გამოცდილების წესით გასამრჯელოს ცენტრალიზებული მიცემა ლატვიის სს რესპუბლიკის, გორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისა და სვერდლოვსკის ოლქებში განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გამოყენებული გამოგონებებისათვის. გასამრჯელო გაიცეს აღნიშნულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ გადარიცხული სახსრებიდან იმ ეკონომიის 0,7 პროცენტის ოდენობით, რომელიც გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების შედეგად მიიღება.

ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შექმნას ქ. მოსკოვში ამ მიზნით სპეციალური ორგანიზაცია (სამეურნეო ანგარიშზე). დაწესდეს, რომ ამ ორგანიზაციის შენახვის ხარჯებს მოხმარდება გამომგონებელთათვის გადარიცხული გასამრჯელოს თანხების დაახლოებით 10 პროცენტი.

გამოგონებებისათვის გასამრჯელოს ცენტრალიზებული წესით გასაცემად საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სახსრების გადარიცხვის წესის ინსტრუქციას, აგრეთვე აღნიშნული გასამრჯელოს გაცემის წესს ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა მოახსენოს 1975 წლის მეორე კვარტალში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომგონებელთათვის გასამრჯელოს ცენტრალიზებული წესით მიცემის გამოცდილების განხორციელების შედეგები.

17. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით შეიტანოს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა სტატისტიკურ ანგარიშგებაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

18. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა უზრუნველყონ კონტროლი ჩვენს ქვეყანაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლებისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის განვითარებას სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე, მიიზიდონ ამ ამოცანის გადასაჭრელად მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკთა ფართო მასები, შექმნან შეუწყნარებლობის ვითარება აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რეალიზაციაში გაჭიანურების ფაქტების მიმართ.

*

* *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაკები, აგრეთვე მეცნიერების მუშაკები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ გამომგონებლობის განვითარებაში და ამით უზრუნველყოფენ სამამულო სამრეწველო პროდუქციის ტექნიკური დონის შემდგომ ზრდას, შრომის ნაყოფიერების გაიდიდებასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბრეჟნევი.**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

91 რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის შემკვეთის სამსახურის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში შემკვეთის სამსახურის შემდგომი სრულყოფის, თავიანთი ძირითადი ფუნქციის — დარგის პერსპექტიული განვითარების — შესრულებისადმი სამინისტროთა და უწყებათა ყურადღების გაძლიერების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ გავრცელდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში ქ. მოსკოვის, მოსკოვის ოლქის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დადებითი გამოცდილება საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობათა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობის ერთიანი შემკვეთის სისტემის შექმნის საქმეში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ზრდას რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ადგილობრივი საბჭოების ფართო უფლებათა გამოყენებას, და ამ მიზნით:

— შეიქმნას 1974 წლის 1 იანვრიდან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების კაპიტალური მშენებლობის სამმართველოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების კაპიტალური მშენებლობის სამმართველოები, კაპიტალური მშენებლობის სარაიონთაშორისო სამმართველოები ქ. თბილისში, სამტრედიასა და გორში;

— ახლად შექმნილ კაპიტალური მშენებლობის სამმართველოთა მუშაობის ხელმძღვანელობისა და მისი კოორდინაციის განხორციელების, შემკვეთის ფუნქციებთან — საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, მოწყობილობით, მასალებით მშენებლობების უზრუნველყოფასთან, არასტანდარტიზებული მოწყობილობის (შემკვეთის მიწოდების) დამზადებასთან დაკავშირებუ-

ლი საკითხების გადაჭრის, მშენებლობაში ერთიანი პოლიტიკის განხორციელების, მშენებლობათა სწორი განლაგებისა და კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების მიზნით შეიქმნას 1974 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ.

3. დაეკისროთ ახლად შექმნილ კაპიტალური მშენებლობის სამმართველოებს საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობათა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობის ერთიანი შემკვეთის (ტიტულმფლობელის) მოვალეობათა შესრულება.

ახლად შექმნილი კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოსა და სამმართველოების შენახვის ხარჯები გაღებულ იქნეს იმ ანარიცხებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში ტექნიკური ზედამხედველობისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურა და შტატები.

5. დაწესდეს, რომ:

ა) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების კაპიტალური მშენებლობის სამმართველოები ემორჩილებიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, შესაბამისი ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, ხოლო კაპიტალური მშენებლობის სარაიონთაშორისო სამმართველოები ემორჩილებიან უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს;

ბ) კაპიტალური მშენებლობის სამმართველოთა უფროსებსა და მთავარ ინჟინრებს ნიშნავენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან ერთად განსაზღვრონ ახლად შექმნილ სამმართველოთა სტრუქტურა და შტატები და მმართველობის აპარატის შტატების ლიმიტებისა და შენახვის ხარჯების დაფარვის წყაროები რესპუბლიკის იმ სამინისტროებსა და უწყებებში შემკვეთთა აპარატის შტატებისა და შენახვის ხარჯების შესაბამისი შემცირების გზით, რომლებიც კაპიტალურ დაბანდებანთა მოცულობას გადასცემენ ამ სამმართველოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული კაპიტალური მშენებლობის სამმართველოების მუშაკთა სარგოები გაუთანაბრდეს სამშენებლო სამინისტროებისა და მათი ორგანიზაციების მუშაკთა სარგოებს.

8. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან კომპლექტაციის ბაზები და არასტანდარტული მოწყობილობის დამამზადებელი საწარმოები.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად განსაზღვროს 1974 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და აღრიცხვის და მშენებლობადაუმთავრებელი ობიექტების გადაცემის წესი, ხოლო საკავშირო ორგანოებში განსახილველ და შესათანხმებელ საკითხებზე წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და გადაჭრას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს მოსათავსებლად სათანადო სადგომის მიცემის საკითხი.

ქ. გორისა და სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მისცენ შესაბამისი სადგომები კაპიტალური მშენებლობის სარაიონთაშორისო სამმართველოებს.

11. შეუნარჩუნდეთ სამინისტროებსა და უწყებებს დარგის განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვის, აგრეთვე სპეციალურ მასალებსა და შემკვეთის მიწოდების მოწყობილობაზე განაცხადების წარდგენის ფუნქცია.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 25 დეკემბერი, № 753

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

92 ტყეებისა და მწვანე ნარგავების მქონე სამინისტროებსა და უწყებებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 ივნისის № 395 დადგენილების გავრცელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„უკანონო ჭრით სატყეო მეურნეობაში გამოწვეული ზარალისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 ივნისის № 395 დადგენილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული ნიხრი „ანაზღაურების ოდენობის დადგენისა იმ ზარალისათვის, რომელსაც მოსახლეობა მიაყენებს სატყეო მეურნეობას ხეებისა და ბუჩქების უკანონო ჭრითა და დაზიანებით მათი ზრდის დამთავრებამდე“ გავრცელდეს საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ტყეებზე, საავტომობილო გზების სამინისტროს მეურნეობებზე და აგრეთვე ყველა იმ სამინისტროებსა და უწყებაზე, რომელთაც ტყეები და მწვანე ნარგავები გააჩნიათ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 2 ნოემბერი, № 655

93 მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი ბიუროს (მმაჩის) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ კანონის 65-ე მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი ბიუროს (მმაჩის) შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 19 ნოემბერი, № 675

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 19 ნოემბრის № 675
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი ბიუროს (მმაჩის) შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი ბიურო (მმაჩი) იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს მიერ და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც რაიონულ (საქალაქო) საბჭოს, მის აღმასკომს, ისე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში — მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს მმაჩის ბიუროს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

უზრუნველყოს კანონიერების დაცვა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დროს რაიონში (ქალაქში) როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების, ისევე მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით;

დანერგოს საბჭოთა მოქალაქეების ყოფა-ცხოვრებაში ახალი სამოქალაქო წესჩვეულებანი დაქორწინებასა და ბავშვთა დაბადებასთან დაკავშირებით;

უზრუნველყოს ბიუროს მუშაობის სწორი ორგანიზაცია და მოსახლეობის სათანადო კულტურული მომსახურება.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, ამ დებულებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, რომლებიც მის საქმიანობას შეეხება. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში მშრომლეთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიურო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ახდენს დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის და სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის რეგისტრაციას;

ბ) უზრუნველყოფს დაბადებისა და გარდაცვალების აქტების სრულ და დროულ რეგისტრაციას;

გ) ქმნის საზეიმო ვითარებას დაბადებისა და ქორწინების რეგისტრაციის დროს;

დ) ამზადებს მასალებს და ადგენს დასკვნებს სსრ კავშირის მოქალაქეთა სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით;

ე) ამზადებს მასალებს და ადგენს დასკვნებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების შეცდომათა განასწორებლად და ცვლილებათა შესატანად, აგრეთვე დაკარგული ჩანაწერების აღსადგენად; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასწორებს, ცვლის, აღადგენს და აუქმებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერებს;

ვ) კანონის დარღვევათა და მუშაობაში ნაკლოვანებათა თავიდან აცილების მიზნით შეისწავლის და განაზოგადებს რაიონში (ქალაქში) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დროს მოქმედი საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის შეფარდების პრაქტიკას;

ზ) უზრუნველყოფს წარსული წლების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნებისა და სხვა დოკუმენტაციის შენახვას; გასცემს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის განმეორებით მოწმობებს; დადგენილი წესის შესაბამისად აღრიცხავს რაიონში (ქალაქში) მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერებს;

თ) ამოწმებს მოქმედი კანონმდებლობის დაცვას მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასკომების იმ თანამდებობის პირთა მიერ, რომლებსაც უხდებათ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია; დახმარებას უწევს მათ ამ მუშაობაში, აგრეთვე ქორწინებისა და დაბადების აქტების საზეიმო რეგისტრაციის ორგანიზაციაში, იძლევა მითითებებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

იღებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასკომებისაგან მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების პირველ და მეორე ეგზემპლარებს, ამოწმებს მათი შევსების სისწორეს და იღებს ზომებს დაშვებულ შეცდომათა გამოსასწორებლად;

ი) მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასკომების იმ თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რომლებსაც უხდებათ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია, მშრომელთა დეპუტატების შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად აწყობს მათთვის სასემინარო მეცადინეობებს, ამ თანამშრომელთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლას, აგრეთვე სწავლობს და ავრცელებს მათი მუშაობის დადებითს გამოცდილებას;

კ) ყოველთვიურად დადგენილ ვადებში უდგენს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს მთლიანად რაიონის (ქალაქის) მიხედვით ანგარიშებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ, რომლებსაც თან ურთავს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების მეორე ეგზემპლარს; დადგენილი წესით უდგენს სტატისტიკურ ანგარიშგებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებს;

ლ) ეწევა მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითს მუშაობას მოქმედი საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის შესახებ.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიურო თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს რაიონულ (საქალაქო) საბჭოს, მის აღმასკომს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, აგრეთვე მშრომელთა კრებებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, სხვა ორგანიზაციებში და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიურო უფლებამოსილია:

მიიღოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასკომებისაგან საჭირო ცნობები და მასალები, რომლებიც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის საკითხებს შეეხება;

გამოითხოვოს საწარმო-დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების დაკარგული ჩანაწერების აღსადგენად, აგრეთვე მოქალაქეთა გვარის, სახელისა და მამის სახელის გამოსაცვლელად საჭირო მასალების მომზადებისათვის აუცილებელი დოკუმენტები.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიუროს სათავეში უდგას გამგე, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭო.

8. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიუროს გამგე:

ხელმძღვანელობს ბიუროს საქმიანობას, უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას და პასუხისმგებელია ბიუროს მუშაობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაზოგადებს ბიუროს მუშაობის პრაქტიკას და შეაქვს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის განსახილველად გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტები მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე; უდგენს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს წინადადებებს კანონით დადგენილი იმ ერთთვიანი ვადის შემცირების შესახებ, რომლის გასვლის შემდეგაც ხდება ქორწინების რეგისტრაცია;

აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს ბიუროს მუშაკთა მოქმედების შესახებ და იღებს მათ გამო საჭირო ზომებს.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიუროს გამგე პასუხისმგებელია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნებისა და სხვა დოკუმენტაციის ჯეროვანი შენახვისათვის, აღრიცხვისა და წარმოებისათვის, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო მოწმობათა ბლანკების აღრიცხვისათვის, შენახვისა და ხარჯვისათვის.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიუროს სტრუქტურასა და შტატს ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საბჭო, რესპუბლიკაში მიღებული ნორმატივებისა და მოცემული აღმასკომისათვის დადგენილი ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხოვნობის მიხედვით.

11. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიუროს შენახვა ხდება რაიონული (საქალაქო) ბიუჯეტის ხარჯზე.

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიუროს აქვს გერბიანი ბეჭედი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით.

94 მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მიერ ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებით სადაზღვევო შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 ოქტომბრის № 773 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მიერ ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებებით სადაზღვევო შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდის შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს და დაევალოთ მათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააცნონ საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 ოქტომბრის № 773 დადგენილების შინაარსი და თვალყური ადევნონ მის სწორად გამოყენებას;

გაუწიონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს ორგანოებს ქმედითი დახმარება იმ მხრივ, რომ მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები მაქსიმალურად ჩაებან ნებაყოფლობით ქონებრივ და პირად დაზღვევაში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

— უზრუნველყოს, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებმა შემდგომ გააუმჯობესონ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მომსახურება და მტკიცედ დაიცვან ნებაყოფლობის პრინციპი მათ მიერ პირადი და ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულებათა სადაზღვევო შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდისას;

— მოამზადოს და წარუდგინოს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს წინადადებანი იმის შესახებ, რომ პროფესიულმა ორგანიზაციებმა ფართო მონაწილეობა მიიღონ დაზღვეულებთან მუშაობის გაუმჯობესებისა და მუშა-მოსამსახურეთა ნებაყოფლობითი დაზღვევის განვითარების ღონისძიებებში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა რადიო და ტელეგადაცემებით გააშუქოს პირადი და ქონებრივი დაზღვევის განვითარების საკითხები და ის უპირატესობანი, რომლებსაც ანიჭებს მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს უნაღდო ანგარიშსწორება სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებთან.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს პირადი და ქონებრივი დაზღვევის იმ მხატვრულ-ტექსტობრივი და სხვა სარეკლამო მასალების დაბეჭდვა, რომლებსაც წარუდგენს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 21 აგვისტოს № 461 და 1972 წლის 1 ივნისის № 299 დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 22 ნოემბერი, № 681

მუხ. 94
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 773

1973 წლის 19 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მიერ ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებებით სადაზღვევო შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდის შესახებ

ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებებით მოსახლეობისათვის ანგარიშსწორების ყველაზე მოხერხებული ფორმის შექმნისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან, იმის შესახებ, რომ საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ მუშა-მოსამსახურეთა წერილობითი დავალებანი და გადარიცხონ სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში მათი ხვედრი ხელფასიდან სადაზღვევო შენატანები ნებაყოფლობითი (პირადი და ქონებრივი) დაზღვევის ხელშეკრულებებით.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შეასრულონ კოლმეურნეთა ანალოგიური დავალებანი.

2. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაადგინოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების მიერ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა იმ დავალებების შესრულების წესი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით, და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით — საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების იმ არასაშტატო სადაზღვევო აგენტთა და ბუღალტერიების მუშაკთა შრომის ანაზღაურების წესი, რომლებიც აღნიშნულ დავალებებს ასრულებენ. ამასთან პროცენტული გასამრჯელოს განაკვეთები არასაშტატო სადაზღვევო აგენტებისა და ბუღალტერიების მუშაკებისათვის უნდა დაწესდეს იმ ანგარიშით, რომ მათი საერთო ოდენობა არ აღემატებოდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 სექტემბრის № 836 დადგენილების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ განაკვეთებს.

3. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვევის ორგანოებმა შემდგომ გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება და საფუძველზე ფართოდ განავითარონ ნებაყოფლობითი დაზღვევა.

4. ძალადაკარულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 აპრილის № 292 და 1972 წლის 15 მაისის № 345 დადგენილებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **კ. მაზუროვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

95 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი სისტემის ორგანოებთან საკოლმეურნეობათაშორისო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის შექმნის შესახებ

საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისა და აღრიცხვა-ანგარიშგებისადმი კონტროლის მოწესრიგების საქმეში კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებისათვის დახმარების გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინადადება, რომელიც მოწონებულია რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს მიერ, და ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შექმნას საკოლმეურნეობათაშორისო საკონტროლო-სარევიზიო სამსახური და ამასთან დაკავშირებით:

ა) ჩამოაყალიბოს სამინისტროს ცენტრალურ აპარატთან საკოლმეურნეობათაშორისო საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან — შესაბამისი განყოფილებები, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან — ჯგუფები;

ბ) განიხილოს და დაამტკიცოს საკოლმეურნეობათაშორისო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის სტრუქტურა და შტატები, დააწესოს მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების შესაბამის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების ანალოგიით;

გ) შექმნას კოლმეურნეობათა და სასოფლო-სამეურნეო საკოლმეურნეობათაშორისო ორგანოების ანარიცხების ხარჯზე რესპუბლიკური ცენტრალიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ფონდი საკოლმეურნეობათაშორისო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის აპარატის დასაფინანსებლად.

2. რჩევა მიეცეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს გადარიცხონ რესპუბლიკურ ცენტრალიზებულ ფონდში სახსრები პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგების 0,1 პროცენტის ოდენობით.

3. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას გაუხსნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური ანგარიში საკოლმეურნეობათაშორისო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის აპარატის შექმნასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 22 ნოემბერი, № 682

96 საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის სავაჭრო მომსახურეობაში პარალელიზმის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში არის ფაქტები, როცა ირღვევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 თებერვლის № 59 დადგენილება „სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობას შორის მოქმედების ზონების განსაზღვრის შესახებ“.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქში, სადაც სავაჭრო მომსახურებას ძირითადად სახელმწიფო ვაჭრობის სისტემა ახორციელებს, პარალელურად ვითარდება სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელი, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის მოქმედების ზონაში ფუნქციონირებს სახელმწიფო ვაჭრობის ქსელი, თუმცა ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული. მოუგვარებელია აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის მოქმედების ზონების განსაზღვრის საკითხი.

ვაჭრობაში პარალელიზმის ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

1. გადაეცეს სახელმწიფო ვაჭრობის სისტემას სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა საწარმო, რომლებიც განლაგებულია ქალაქებში და კურორტებზე: სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ფოთში, გორში, ხაშურში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ზუგდიდში, ტყიბულში, ჭიათურაში, ბორჯომში, წყალტუბოში, ქობულეთში, გუდაუთაში, გაგრაში, განთიადში, ლესელიძეში, ახალ ათონში, ბიჭვინთაში, ხოლოდნაია რეჩკაში, მწვანე კონცხზე, მახინჯაურში, ციხისძირში, აბასთუმანში, ბაკურიანსა და სურამში, — გარდა კოოპერაციული ვაჭრობის ობიექტებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ჰყიდიან.

2. გადაეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას სახელმწიფო ვაჭრობის მთელი სავაჭრო ქსელი, რომელიც განლაგებულია რაიონულ ცენტრებში და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე, კერძოდ: თელავში, ახალციხეში, მახარაძეში, ცხაკაიასა და ოჩამჩირეში, გარდა მუშათა მომარაგების სამმართველოებისა და განყოფილებების სისტემის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, აგრეთვე საქართველოს საგზაო რესტორანებისა და ბუფეტების ტრესტის ობიექტებისა, რომლებიც განლაგებულია მათი მოქმედების ზონაში.

3. სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა გადასცენ დადგენილი წესით მათი მოქმედების ზონის გარეთ განლაგებული ვაჭრობის ყველა საწარმო შესაბამისად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებს.

4. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ საჭირო ღონისძიებათა განხორციელება, რათა ზუსტად განისაზღვროს სავაჭრო ორგანიზაციებს შორის მოქმედების ზონები ამ დადგენილების შესაბამისად.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიღება-გადაცემა განახორციელონ დადგენილი წესით 1974 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხოლო შესაბამისი მასალები წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საგეგმო-საფინანსო მაჩვენებლებში სათანადო ცვლილებათა შესატანად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ასახონ 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში სამინისტროთა და უწყებათა მოქმედების ზონების განსაზღვრისათვის წარდგენილი მასალები.

5. კატეგორიულად აეკრძალოთ სავაჭრო ორგანიზაციებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გახსნა თავიანთი მოქმედების ზონის გარეთ.

დაწესდეს, რომ დადგენილი წესის დარღვევის თითოეული შემთხვევისათვის, სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად, პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დააწესონ სისტემატური კონტროლი იმისადმი, რომ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები იცავდნენ საკაჭრო მომსახურების განსაზღვრულ ზონებს; დაუშვან ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ახალ საწარმოთა გახსნა, აგრეთვე მათი დახურვა მხოლოდ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმების შემდეგ (მათი მოქმედების ზონების გათვალისწინებით).

6. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად მოამზადოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 30 ნოემბერი, № 693

97 მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის შემოღების შესახებ

ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა შრომის ეფექტიანობისა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გაზრდის, მათი საქმიანი კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივლისის № 531 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1973 წლის 5 ოქტომბრის № 470/267 დადგენილება „მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარების წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა:

ა) შემოიღონ პრაქტიკაში მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარება;

ბ) განსაზღვრონ იმ თანამდებობათა ნუსხა, რომლებზეც ვრცელდება მუშაკთა ატესტაცია, და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

გ) მუშაკთა ატესტაცია ჩაატარონ პერიოდულად, მოყოლებული 1974 წლიდან, სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ.

ამ მიზნით საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა დანიშნონ საატესტაციო კომისიები ხელმძღვანელ მუშაკთა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, აგრეთვე პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა მიიღონ გადაწყვეტილებანი ატესტაციის შედეგების მიხედვით (მუშაკის წახალისების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და სხვ.) მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ ყოველმხრივი მომზადება ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩასატარებლად, მათი კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი სრულყოფა, მართვისა და შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდების ფართოდ გამოყენება.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ კონტროლი საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის სწორად ჩატარებისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე Ш. КИКНАДЗЕ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე Д. ЖИТИАШВИЛИ.

ქ. თბილისი, 1974 წ. 30 ნოემბერი, № 695

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
მეცნიერებისა და ტექნიკის
სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
შრომისა და ხელფასის საკითხთა
სახელმწიფო კომიტეტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 470|267

1973 წლის 5 ოქტომბერი

მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარების წესის დებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 22 აგვისტოს დავალების შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს თანდართული დებულება მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე
დ. ჟიმერინი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
შრომისა და ხელფასის საკითხთა
სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე
ს. ნოვოჟილოვი.

№ 6/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეთანხმებულია

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი
ვ. ტერეგილოვი

საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი
ვ. პროხოროვი

დამტკიცებულია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1973 წლის 5 ოქტომბრის № 470/267 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია ტარდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივლისის № 531 დადგენილების შესაბამისად.

ატესტაცია ტარდება სპეციალისტთა ყველაზე უფრო რაციონალური გამოყენების, მათი შრომის ეფექტიანობისა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით და ხელი უნდა შეუწყოს კადრების შერჩევისა და აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას, მათი საქმიანი კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას.

ატესტაციისას განისაზღვრება მუშაკთა საქმიანი თვისებები და გამოიტანება დასკვნები დაკავებული თანამდებობისათვის მათი შესაფერისობის შესახებ.

2. ატესტაცია ტარდება საწარმო-ორგანიზაციათა ყველა ქვედანაყოფში.

იმ თანამდებობათა ნუსხას, რომლებზეც ვრცელდება ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია, განსაზღვრავენ სსრ კავშირის მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები სსრ კავშირის მოცემული სამინისტროს ან უწყების სისტემაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიხედვით და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა სისტემაში შემავალ და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა მიხედვით პროფკავშირის შესაბამის ცენტრალურ კომიტეტთან ან საბჭოსთან შეთანხმებით.

3. საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავენ და ათავისუფლებენ ზემდგომი ორგანოები, ატესტაციას არ ექვემდებარებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ატესტაციის ჩატარების ვადები და საატესტაციო კომისიების შემადგენლობა

4. ატესტაცია ტარდება პერიოდულად სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ.

ატესტაციის ჩატარების ვადებს, აგრეთვე გრაფიკს ამტკიცებს საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი პროფკავშირის შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით, და ატესტაციაგასავლელ მუშაკებს აღნიშნული ვადები და გრაფიკი ეცნობებათ ატესტაციის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მაინც.

მორიგ ატესტაციას არ ექვემდებარებიან: პირები, რომლებმაც მოცემულ თანამდებობაზე იმუშავეს ერთ წელიწადზე ნაკლები; ახალგაზრდა სპეციალისტები სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დანიშნულებისამებრ მუშაობის პერიოდში; ორსული ქალები და ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა დედები.

5. ატესტაციის ჩატარებისას საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბრძანებით ნიშნავს საატესტაციო კომისიას (თავმჯდომარეს, მდივანსა და კომისიის წევრებს) ხელმძღვანელ მუშაკთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა შემადგენლობით; კომისიაში შედიან აგრეთვე პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საჭირო შემთხვევებში დასაშვებია რამდენიმე საატესტაციო კომისიის დანიშვნა.

III. ატესტაციის ჩატარების წესი

6. ატესტაციას წინ უნდა უძღოდეს საჭირო მოსამზადებელი მუშაობა.

თითოეულ ატესტაციაგასავლელ მუშაკზე მისი უშუალო ხელმძღვანელი პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ (თუ ატესტაციაგასავლელი მუშაკი სრულიად საკავშირო ალკკ წევრია) ორგანიზაციებთან ერთად ადგენს შეფასებას (დახასიათებას), რომელშიც აისახება მისი საწარმოო საქმიანობა, კვალიფიკაცია, მის მიერ სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის დაცვა, სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაჩვენებლები და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.

შეფასება (დახასიათება) წინა ატესტაციის საატესტაციო ფურცელთან ერთად წარედგინება საატესტაციო კომისიას არა უგვიანეს ორი კვირისა ატესტაციამდე.

ატესტაციაგასავლელ მუშაკს წინასწარ, მაგრამ არა უადრეს ერთი კვირისა ატესტაციამდე, უნდა გაეცნოს მის შესახებ წარდგენილი შეფასება (დახასიათება).

7. საატესტაციო კომისია განიხილავს წარდგენილ მასალებს და ისმენს ატესტაციაგასავლელი მუშაკის ინფორმაციას მისი მუშაობის შესახებ. კომისიის სხდომას ესწრება იმ ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, რომელშიც მუშაობს ატესტაციაგასავლელი მუშაკი.

ატესტაციაგასავლელი მუშაკის მუშაობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება: პირადი წვლილი სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, განსაკუთრებით ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის დავალებათა შესრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებაში; სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის დაცვა; კვალიფიკაცია და მოსამსახურეთა თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად დაწესებულ თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულება; სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებათა შესრულება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.

ამ მონაცემების საფუძველზე, მუშაკის მუშაობის შედეგებისა და საქმიანი თვისებების განხილვის გათვალისწინებით საატესტაციო კომისია ღია კენჭისყრით იღებს მუშაკის საქმიანობის ერთ-ერთ შემდეგ შეფასებას:

ა) შეეფერება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) შეეფერება დაკავებულ თანამდებობას იმ პირობით, თუ გააუმჯობესებს მუშაობას და შეასრულებს კომისიის რეკომენდაციებს, ამასთან განმეორებით გაივლის ატესტაციას ერთი წლის შემდეგ;

გ) არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას.

საატესტაციო კომისიას შეუძლია მისცეს რეკომენდაციები ცალკეულ მუშაკთა სამუშაოზე დაწინაურების შესახებ, ან მათ მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის სხვა წახალისებათა შესახებ, სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში — რეკომენდაციები ატესტაციაგავლილ მუშაკთა საქმიანობის გაუმჯობესების, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ და სხვა რეკომენდაციები.

კენჭისყრა განხილვის შედეგების გამო ატესტაციაგავლილი მუშაკის დაუსწრებლად ხდება.

8. კენჭისყრაში მონაწილეობენ საატესტაციო კომისიის წევრები, რომლებიც ესწრებოდნენ მოცემულ სხდომას. ატესტაციის ჩატარებასა და კენჭისყრაში უნდა მონაწილეობდეს საატესტაციო კომისიის წევრთა არანაკლებ ორი მესამედი. კენჭისყრის შედეგები განისაზღვრება ხმის უმრავლესობით და შეაქვთ კომისიის სხდომის ოქმში.

თუ ატესტაციაგავლილი მუშაკის საქმიანობის შეფასებისას ხმები თანაბრად გაიყო, იგი დაკავებული თანამდებობისათვის შესაფერისად ჩაითვლება.

9. ატესტაციაგავლილი მუშაკის საქმიანობის შეფასება და საატესტაციო კომისიის რეკომენდაციები შეაქვთ საატესტაციო ფურცელში (ფორმა თან ერთვის).

საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ კენჭისყრაში.

ატესტაციის შედეგები ეცნობება ატესტაციაგავლილ მუშაკს უშუალოდ კენჭისყრის შემდეგ.

10. ატესტაციის მასალები გადაეცემა საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელს გადაწყვეტილების მისაღებად.

ატესტაციაგავლილი მუშაკის საატესტაციო ფურცელი და შეფასება (დახასიათება) ინახება მის პირად საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიიღება ატესტაციის შედეგების მიხედვით

11. საატესტაციო კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ საწარმოსა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით იმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საატესტაციო კომისიის რეკომენდაციების შესრულებას, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომ სრულყოფას, მართვისა და შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდების ფართოდ გამოყენებას, და კონტროლს უწევს მათს განხორციელებას.

12. საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი საატესტაციო კომისიების რეკომენდაციათა გათვალისწინებით დადგენილი წესით იყენებს მუშაკთა მიმართ წახალისების შესაბამის ზომებს და საჭირო შემთხვევებში, ატესტაციის დღიდან არა უმეტეს ორი თვის ვადაში, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მუშაკი, რომელიც ატესტაციის შედეგების მიხედვით ცნობილ იქნა დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად, გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე, მისი თანხმობით. თუ მუშაკის გადაყვანა მისი თანხმობით სხვა სამუშაოზე შეუძლებელია, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელს შეუძლია იმავე ვადაში დადგენილი წესით გაწყვიტოს მასთან შრომითი ხელშეკრულება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მუშაკის გადაყვანა სხვა სამუშაოზე ან მასთან შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტა მოცემული ატესტაციის შედეგების მიხედვით არ დაიშვება.

13. შრომითი დავა იმ მუშაკთა დათხოვნისა და თანამდებობაზე აღდგენის საკითხებზე, რომლებიც ატესტაციის შედეგების მიხედვით ცნობილ იქნენ დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად, განიხილება შრომითი დავის განხილვის წესის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ კონტროლს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის სწორად ჩატარებისადმი.

15. ამ დებულების მოქმედება არ ვრცელდება სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევით ქვედანაყოფებზე, რომლებშიც ატესტაცია ტარდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 24 სექტემბრის № 760 დადგენილების შესაბამისად.

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საატესტაციო ფურცელი

1. გვარი, სახელი, მამის სახელი _____

2. დაბადების წელი _____

3. ეროვნება _____

4. პარტიულობა _____

5. განათლება _____

6. სპეციალობა _____

7. საერთო შრომის სტაჟი, მათ შორის სპეციალობის მიხედვით _____

8. დაკავებული თანამდებობა ატესტაციის მომენტში _____

(თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი) _____

9. მუშაკის საქმიანობის შეფასება _____

10. საატესტაციო კომისიის რეკომენდაციები _____

საატესტაციო კომისიის
თავმჯდომარე (ხელმოწერა)

კომისიის წევრები (ხელმოწერა)

ატესტაციის თარიღი

საატესტაციო ფურცელს გავეცანი (ატესტაციაგავლილი
მუშაკის ხელმოწერა
და თარიღი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

98 მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის სახალხო მეურნეობაში გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისა და ამასთან დაკავშირებული დამატებითი შეღავათების შესახებ

მოხუცებულობის გამო პენსიონერთა, ინვალიდთა და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და „მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის სახალხო მეურნეობაში გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებისა და ამასთან დაკავშირებული დამატებითი შეღავათების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 14 სექტემბრის № 674 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— მიიღონ ზომები, რათა უფრო ფართოდ ჩააბან შრომისუნარიანი მოხუცებულობის გამო პენსიონერები, ინვალიდები და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებული პირები თავიანთ წინანდელ საწარმოებში, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასთან დაკავშირებულ საწარმოებში, აგრეთვე ვაჭრობაში და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში სამუშაოდ;

— უზრუნველყონ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი მოქმედი საწარმოების, საამქროებისა და უბნების გაფართოება და ახლის ორგანიზაცია;

— მიიღონ ქმედითი ზომები, რათა შესრულდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 25 სექტემბრის № 555 დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მოხუცებულობის გამო პენსიონერთა, ინვალიდთა აგრეთვე საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა უფრო ფართოდ ჩაბმას მუშაობაში არასრული სამუშაო დღის ან არასრული სამუშაო კვირის ხანგრძლივობით, აგრეთვე მოხუცებულობის გამო პენსიონერთა, ინვალიდთა, საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ პირთა, სეზონური ხასიათის სამუშაოებზე წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა, აგრეთვე სხვა პირთა მიღებას სამუშაოზე შინახელოსნებად.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 დეკემბრის № 970 დადგენილების შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ შრომისუნარიან მოხუცებულობის გამო პენსიონერთა, ინვალიდთა და საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელ სხვა პირთა შემადგენლობის შესწავლა და სამუშაოზე მოწყობის მსურველთა აღრიცხვა, გააუმჯობესონ მოსახლეობის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნილებანი აქვთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მუშახელზე, მათ შორის არასრული სამუშაო დღის (არასრული სამუშაო კვირის) ხანგრძლივობით მუშაობისათვის.

№ 6 ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეატყობინონ შრომითი რესურსების გამოყენების ორგანოებსა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს იმ ვაკანტურ თანამდებობათა და სამუშაო ადგილების შესახებ, რომლებზეც შეიძლება გამოყენებულ იქნენ მოხუცებულობის გამო პენსიონერები, ინვალიდები და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებული პირები.

3. მოხუცებულობის გამო პენსიონერთა, ინვალიდთა და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი საწარმოები და საამქროები თავმოყრილ იქნენ ძირითადად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, რისთვისაც შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი საწარმოები და საამქროები გადაეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გამგებლობაში.

4. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითს საქმიანობაში შრომისუნარიან მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა ჩაბმის მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გააფართოოს სასწავლო წარმოებათა საამქროები და უბნები ქ. თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში.

5. რჩევა მიეცეთ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების პრეზიდიუმებს ფართოდ ჩააბან შრომაში, საზოგადოების მუდმივ კონტინგენტთან ერთად, მოხუცებულობის გამო პენსიონერები და ინვალიდები, რისთვისაც მოაწყონ სპეციალური საამქროები და უბნები არასრული სამუშაო დღის და არასრული სამუშაო კვირის ხანგრძლივობით, აგრეთვე პრაქტიკაში შემოიღონ მათი შინახელოსნური შრომა.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მთავარმმართველობამ გაითვალისწინონ გეგმებში მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი საწარმოების უზრუნველყოფა ნედლეულით, მასალებით, მოწყობილობით და მცირეტონაჟიანი ავტოტრანსპორტით შინმომუშავე პირთა მომსახურებისათვის.

7. სამინისტროებმა და უწყებებმა გადასცენ სამრეწველო საწარმოთა (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) წარმოების გამოუყენებელი ნარჩენები საწარმოებს, რომლებიც იყენებენ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას, გაუწიონ მათ დახმარება არასტანდარტიზებული მოწყობილობის, ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის დამზადებაში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აკრძალული შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების ნუსხის დამატებითი შემცირების შესახებ.

9. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს წარმოადგინონ 1974 წლის 1 ივლისისათვის ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

10. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ დააწესოს კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი და პერიოდულად წარმოუდგინოს ინფორმაცია ამის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

მუნ. 98
ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 14 სექტემბრის № 674 დადგენილების მე-15 პუნქტის შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 25 სექტემბრის № 555 დადგენილებისა „სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოებსა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში პენსიონერთა, ინვალიდთა და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომის გამოყენების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“.

12. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1973 წლის 14 სექტემბრის № 674 დადგენილებით:

ა) დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად სამი თვის ვადაში განსაზღვროს იმ საწარმოთა (საწარმოო გაერთიანებათა) საგეგმო და საანგარიშო მაჩვენებლების (წარმოების მოცულობა, შრომის ნაყოფიერება და სხვ.) დადგენის წესი, რომლებიც უპირატესად მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას იყენებენ, რათა შეიქმნას ამ საწარმოთა (საწარმოო გაერთიანებათა) ეკონომიური დაინტერესება აღნიშნულ პირთა შრომის უფრო ფართო გამოყენებით;

ბ) უფლება მისცა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირთა კომიტეტებთან შეთანხმებით:

— შეუმცირონ III ჯგუფის ინვალიდებსა და მოხუცებულობის გამო პენსიონერებს, რომლებიც ამ პირთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილ საწარმოებში (საწარმოო-გაერთიანებებში), საამქროებში და უბნებზე მუშაობენ, მათი დაქვეითებული შრომისუნარიანობის გამო, გამომუშავების ნორმები არანაკლებ 10 პროცენტით, ხოლო I და II ჯგუფების ინვალიდებს — 20 პროცენტით;

— დააწესონ შინმომუშავე III ჯგუფის ინვალიდებისათვის გამომუშავებისა და ფასდების ნორმები საამქროებში მომუშავე III ჯგუფის ინვალიდებისათვის გათვალისწინებულ დონეზე;

— შინმომუშავე I და II ჯგუფების ინვალიდთა შრომა აანაზღაურონ საამქროებში მომუშავე I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის დაწესებულ ფასდებათა მიხედვით;

გ) დააწესა 1973 წლის 1 ოქტომბრიდან ინვალიდებისათვის, რომლებიც ამ პირთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილ საწარმოებში (საწარმოო გაერთიანებებში), საამქროებში და უბნებზე მუშაობენ (თუ ისინი არ სარგებლობენ უფრო მაღალი შეღავათების მიღების უფლებით), შემდეგი შეღავათები:

I და II ჯგუფების ინვალიდებისათვის — 6-საათიანი სამუშაო დღე (36 საათი კვირაში) და ყოველწლიური შვებულება 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით;

III ჯგუფის ინვალიდებისათვის, აგრეთვე შინმომუშავე I და II ჯგუფების ინვალიდებისათვის — ყოველწლიური შვებულება 18 სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომუშავე მოხუცებულობის გამო პენსიონერებსა და I და II ჯგუფების ინვალიდებს მიეცეთ, მათი სურვილით, შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად ორ თვემდე ხანგრძლივობით;

დ) დააწესა, რომ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილ საწარმოებს (საწარმოო გაერთიანებებს), საამქროებსა და უბნებს (მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა გარდა), ამ საწარმოების, საამქროებისა და უბნების უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, შეუძლიათ წარმოების გაფართოებااა და სრულყოფას, მუშაკთა მატერიალურ წახალისებასა და მათი სოციალურ-კულტურული და საბინაო პირობების გაუმჯობესებას მოახმარონ მოგება (საწარმოო ფონდების საფასურისა და კრედიტის პროცენტების გამოქვითვით):

— 50 პროცენტის ოდენობით, თუ მოხუცებულობის გამო პენსიონერები და ინვალიდები შეადგენენ მომუშავეთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 50 პროცენტს;

— 35 პროცენტის ოდენობით, თუ მოხუცებულობის გამო პენსიონერები და ინვალიდები შეადგენენ მომუშავეთა საერთო რაოდენობის 30-დან 50-მდე პროცენტს, იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული საწარმოებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 სექტემბრის № 794 დადგენილებით დაწესებული არ არის ანარიცხების უფრო მაღალი ოდენობა;

— აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით, თუ მოხუცებულობის გამო პენსიონერები და ინვალიდები შეადგენენ მომუშავეთა საერთო რაოდენობის 30 პროცენტზე ნაკლებს.

ნება დართო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გაუდიდონ საწარმოებს (საწარმოო გაერთიანებებს), რომლებშიც მოხუცებულობის გამო პენსიონერები და ინვალიდები მომუშავეთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 50 პროცენტს შეადგენენ, მოგების ანარიცხების ოდენობა 70 პროცენტამდე ამ საწარმოთა (საწარმოო გაერთიანებათა) განვითარებისათვის დატოვებული სახსრების მთლიანად ათვისებისას.

მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილ საწარმოთა (საწარმოო გაერთიანებათა) განკარგულებაში დატოვებული მოგება ამ დადგენილების შესაბამისად ხმარდება:

ახალი საწარმოების (საწარმოო გაერთიანებების), საამქროებისა და უბნების მშენებლობას, მოქმედის რეკონსტრუქციასა და გაფართოებას კაპიტალურ დაბანდებათა გადამეტებით; კადრების მომზადებასა და გადამზადებას.

სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის იმ კრედიტების დაფარვას, რომლებიც მიღებულია ახალი საწარმოების (საწარმოო გაერთიანებების) მშენებლობისათვის და მოქმედის რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის;

საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას საწარმოთა (საწარმოო გაერთიანებათა) აღნიშნული მოგების 15 პროცენტამდე ოდენობით;

ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი საწარმოები, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, ქმნიან საწარმოს ფონდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილების შესაბამისად იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად ამ საწარმოთა მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, რომლებიც მოგების ნაწილს იყენებენ ამ პუნქტის შესაბამისად, ანარიცხები ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდში არ შეაქვთ.

უფლება მისცა სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გაძგებლობაშიც არიან მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი საწარმოები (საწარმოო გაერთიანებანი), გადაანაწილონ საჭიროების შემთხვევაში ამ საწარმოებთან (საწარმოო გაერთიანებებთან) შეთანხმებით ამ პუნქტის შესაბამისად საწარმოთა (საწარმოო გაერთიანებათა) განკარგულებაში დატოვებული თავისუფალი სახსრები, ამასთან ეს სახსრები გამოიყენონ მხოლოდ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამომყენებელი ახალი საწარმოების, საამქროებისა და უბნების მშენებლობისათვის და მოქმედის რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის;

ე) დაავალა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი ახალი საწარმოების (საწარმოო გაერთიანებების), საამქროებისა და უბნების მშენებლობისათვის, მოქმედის რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის გათვალისწინებული სახსრების მთლიანად გამოყენება და ამ სამუშაოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ვ) უფლება მისცა სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს ნება დართონ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიიღონ წილობრივი მონაწილეობა მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი ახალი საწარმოების, საამქროებისა და უბნების მშენებლობაში, მოქმედის რეკონსტრუქციასა და გაფართოებაში, რაც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით ხორციელდება. ხარჯები ამ მიზნით გაიღება იმ სახსრებიდან, რომლებიც კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებში გათვალისწინებულია საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის;

ზ) დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გაითვალისწინონ გეგმებში მოხუცებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი საწარმოების (საწარმოო გაერთიანებების) უზრუნველყოფა ნედლეულით, მასალებით, მოწყობილობით, აგრეთვე მცირეტონაჟიანი აკტოტრანსპორტით შინმომუშავე პირთა მომსახურებისათვის.

სამინისტროებმა და უწყებებმა გადასცენ სამრეწველო საწარმოთა (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) წარმოების გამოუყენებელი ნარჩენები აღნიშნულ საწარმოებს (საწარმოო გაერთიანებებს) და გაუწიონ მათ დახმარება არასტანდარტიზებული მოწყობილობის, ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის დამზადებაში;

თ) დაავალა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შეიმუშაოს და დაამტკიცოს მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად განკუთვნილი საწარმოების (საწარმოო გაერთიანებების), საამქროებისა და უბნების საწარმოო სადგომების ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ერთიანი სანიტარიული წესები;

ი) დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკავშირო პროფსაბჭოსთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველყონ საქვეუწყებო სამეცნიერო დაწესებულებებში გამოკვლევათა გაფართოება მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოყენების დარგში;

კ) დაავალა სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს განიხილოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით საკითხი იმის თაობაზე, რომ მოქმედ სტატისტიკურ ანგარიშგებას დაემატოს მაჩვენებლები საწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა რაოდენობის, არასრული სამუშაო დღის (არასრული სამუშაო კვირის) ხანგრძლივობით დასაქმებულ მუშაკთა და შინმომუშავე პირთა რაოდენობის შესახებ;

ლ) სახალხო მოხმარების ნაკეთობათა წარმოების გადიდებისა და შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების საფუძველზე მომსახურებით მოსახლეობის უფრო სრული უზრუნველყოფის მიზნით:

— დააწესა, რომ, მოყოლებული 1974 წლის 1 იანვრიდან, მოხუცებულობის გამო პენსიონერებს, რომლებიც სახალხო მოხმარების ნაწარმს ამზადებენ და მოსახლეობას უწევენ საყოფაცხოვრებო მომსახურებას შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების საფუძველზე, სახელმწიფო პენსიები მიეცემათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის № 995 დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით (სსრკ დადგ. კრებ., 1970 წ., № 2, მუხ. 13);

— რჩევა მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განიხილონ საკითხი მათ მიერ აკრძალული შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხის დამატებითი შემცირების შესახებ;

მ) ძალადაკარგულად ჩათვლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აგვისტოს № 705 დადგენილების მე-3 პუნქტი (სსრკ დადგ. კრებ., 1969 წ., № 23, მუხ. 132).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 30 ნოემბერი, № 696

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 17 სექტემბრის № 677 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 17 სექტემბრის № 677 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 17 ივნისის № 385 დადგენილება „სასურსათო და სამრეწველო საქონლის ტექნიკური პირობების, სტანდარტებისა და საცალო ფასების დამტკიცების წესის შესახებ“;

— 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მე-3 და მე-6 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 დეკემბრის № 949 დადგენილებისა „სახელმწიფო სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის დარგში მუშაობის ვაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 17 სექტემბრის № 677 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებით დაგზავნილი „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართის — „საკითხები, რომლებიც გადაცემულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად დაგეგმვის დარგში“ — 69-ე პუნქტი, აგრეთვე დანართის — „საკითხები, რომლებიც გადაცემულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების გადასაწყვეტად“ — 33-ე პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 30 ნოემბერი, № 698.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100 მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის შექმნის შესახებ

რესპუბლიკაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების, თარგმნილი ლიტერატურის გამოსაცემად ინფორმაციის, კოორდინაციისა და რეკომენდაციის საკითხების ერთიან ორგანოში თავმოყრის, ლიტერატურული კავშირურთიერთობის განვითარების, მოძმე რესპუბლიკებში ქართული, აფხაზური და ოსური ლიტერატურის ნაწარმოებთა და საქართველოში სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ლიტერატურის ნაწარმოებთა პროპაგანდის, აგრეთვე მხატვრული თარგმანის ხარისხის ამაღლებისა და მთარგმნელთა კადრების მომზადების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირის წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას საქართველოს მწერალთა კავშირთან მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია.

2. დამტკიცდეს მთავარი სარედაქციო კოლეგიის სტრუქტურა და შტატები, დანართის თანახმად.

„მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 730 დადგენილების 32-ე პუნქტის შესაბამისად მთავარი სარედაქციო კოლეგიის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები გაუთანაბრდეს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და სპეციალური რედაქციის მუშაკთა სარგოებს.

3. შეიქმნას მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭო, შეყვანილ იქნენ საბჭოს შემადგენლობაში დაინტერესებულ სამინისტროთა, უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელობის წარმომადგენლები.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ 1974 წელს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის შტატები, მისი შენახვისათვის საჭირო ხარჯები და ზღვრული ასიგნებანი.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან შეთანხმებით შემოიღოს სწავლების მერვე წლიდან სკოლებში, სადაც მთელი რიგი დისციპლინები ისწავლება უცხო ენაზე, სსრ კავშირის ხალხთა ენების ფაკულტატიური შესწავლა.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მთავარი სარედაქციო კოლეგიის რეკომენდაციით გაგზავნოს იმ პირთაგან, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ენებს სწავლობდნენ, აბიტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიენტები მოძმე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამის ფაკულტეტებზე კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის.

7. თარგმნილი ლიტერატურის გამოცემის შემდგომი მოწესრიგებისა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა შესრულებისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში თარგმნილი ლიტერატურის სპეციალიზებული გამომცემლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებანი სპეციალიზებული გამომცემლობის შექმნის თაობაზე იმ სამუშაოების, მატერიალური რესურსების, ხარჯებისა და შტატების ფარგლებში, რომლებიც გამომცემლობებს გამოეყოფათ თარგმნილი ლიტერატურის გამოსაცემად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 3 დეკემბერი, № 700

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 3 დეკემბრის № 700
დადგენილების დანართი

მხატვრული თარგმნისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის სტრუქტურა და შტატები

თანამდებობანი	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თვიური სარგო (მანეთობით)
მთავარი რედაქტორი	1	400
მთავარი სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი	1	320
თარგმანის რედაქცია		
რედაქციის გამგე	1	300
უფროსი სამეცნიერო რედაქტორი	1	180
სამეცნიერო რედაქტორი	3	150
ლიტერატურული კავშირურთიერთობის რედაქცია		
რედაქციის გამგე	1	300
უფროსი სამეცნიერო რედაქტორი	1	180
სამეცნიერო რედაქტორი	2	150
ინფორმაციის რედაქცია		
რედაქციის გამგე	1	275
უფროსი სამეცნიერო რედაქტორი	1	180
სამეცნიერო რედაქტორი	2	150
ბიბლიოთეკის გამგე	1	120
საკორექტორო		
უფროსი კორექტორი	1	90
კორექტორი	1	75
მთავარი ბუღალტერი	1	120
უფროსი მგეგმავი-ეკონომისტი	1	110
სამეურნეო ნაწილის გამგე	1	75
საქმისმწარმოებელი	1	70
მოლარე	1	70
მემანქანე	2	70
შოკრიკი	1	60
დამლაგებელი	1	60

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

101 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მინერალური წყლების საბადოთა ჰიდროგეოლიგიურ შესწავლასთან, კაპტაჟთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საუწყებათშორისო საკითხების განმხილველი საკოორდინაციო საბჭოს დებულების დამტიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მინერალური წყლების საბადოთა ჰიდროგეოლოგიურ შესწავლასთან, კაპტაჟთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საუწყებათშორისო საკითხების განმხილველი საკოორდინაციო საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 1 დეკემბერი, № 701

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 1 დეკემბრის № 701 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მინერალური წყლების საბადოთა ჰიდროგეოლოგიურ შესწავლასთან, კაპტაჟთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საკოორდინაციო საბჭოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მინერალური წყლების საბადოთა ჰიდროგეოლოგიურ შესწავლასთან, კაპტაჟთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საუწყებათშორისო საკითხების განმხილველი საკოორდინაციო საბჭო შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 30 ნოემბრის № 1115 განკარგულებით.

2. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. საკოორდინაციო საბჭოს სათავეში უდგანან თავმჯდომარე და მისი მოადგილეები. მდივანს ირჩევს საკოორდინაციო საბჭო თავის სხდომაზე ღია კენჭისყრით.

4. საკოორდინაციო საბჭოს ამოცანებია:

ა) შეათანხმოს ბორჯომისა და რესპუბლიკის სხვა მინერალური წყლებისა და სამკურნალო ტალახების ყველაზე დიდ საბადოებზე გათვალისწინებულ ჰიდროგეოლოგიურ, სადაზვერვო და საკაპტაჟო სამუშაოთა პროექტები და გეგმები;

ბ) განიხილოს ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ბალნეოლოგიური კურორტების ჰიდრომინერალურ რესურსთა რაოდენობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, სამკურნალო და სასმელი მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხნების სრულყოფას, და მიიღოს გადაწყვეტილებანი აღნიშნულ ღონისძიებათა გამო;

გ) განიხილოს საკითხები, რომლებიც წამოეჭრათ დაინტერესებულ ორგანიზაციებს მინერალური წყლების საბადოთა დაზვერვის, კაპტაჟისა და ექსპლუატაციის პროცესში, და მიიღოს გადაწყვეტილებანი მათ გამო.

შენიშვნა: გადაწყვეტილებანი ბალნეოლოგიური მიზნით თერმული წყლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თერმული წყლების მუდმივ კომისიას.

5. საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, საკოორდინაციო საბჭო წარუდგენს შესაბამის წინადადებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საკოორდინაციო საბჭოს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს საჭირო ცნობების წარმოდგენა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საჭიროების კვალობაზე მიიწვიოს ცალკეულ საკითხთა განსახილველად მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები.

7. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა ორგანიზაციისათვის, საწარმოსათვის, სამინისტროსა და უწყებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

102 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით ყოველწლიური სტატისტიკური კრებულების გამოცემის შესახებ

სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ეკონომიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფისა და მათი მუშაკების ეკონომიური ცოდნის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს (ამხ. ჟორჟიკაშვილი) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან ერთად გამოსცეს, მოყოლებული 1974 წლიდან, ყოველწლიური სტატისტიკური კრებულები რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით, აგრეთვე აღმოუჩინოს რაიონებს დახმარება რაიონების მიხედვით ანალოგიური კრებულების გამოცემის ორგანიზაციაში.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გამოყოს აღნიშნული მიზნებისათვის საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განაცხადების მიხედვით საჭირო რაოდენობის საბეჭდი ქაღალდი.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გამონახონ სახსრები აღნიშნული ყოველწლიური კრებულების გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 26 დეკემბერი, № 731

ეროვნული ბიბლიოთეკა

103 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 24 ივლისის № 444 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„რესპუბლიკის ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაციის გამსხვილების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 24 ივლისის № 444 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს დადგენილების 1-ლ პუნქტში შემდეგი ცვლილებანი:

პირველ აბზაცში სიტყვები: „სამმართველოების საპროექტო ჯგუფები, ტექნიკური ინვენტარიზაციის (ან ტექნიკური აღრიცხვის) და რაიონის არქიტექტორის (საწარმოო ჯგუფის გარეშე) ბიუროები ერთ საპროექტო ჯგუფად, რომელიც დაექვემდებაროს აღმასკომს“ შეიცვალოს სიტყვებით: „სამმართველოების, ტექნიკური ინვენტარიზაციის (ან ტექნიკური აღრიცხვის) ბიუროების და რაიონის არქიტექტორის საპროექტო ჯგუფები ერთ სამეურნეოანგარიშიან საპროექტო-საწარმოო ჯგუფად, რომელიც დაექვემდებაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ სახმშენს“, და შემდეგ როგორც ტექსტშია.

პირველი აბზაცის ბოლო სიტყვებს „ადგილმდებარეობასთან მიბმა“ დაემატოს სიტყვები: „და იმ ფუნქციების შესრულება, რომლებსაც რაიონის არქიტექტორის საწარმოო ჯგუფი ასრულებდა მის გაერთიანებამდე“;

მესამე აბზაცში სიტყვები: „შეიქმნას საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან სამეურნეოანგარიშიანი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო კანტორა“ შეიცვალოს სიტყვებით: „შეიქმნას საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან სამეურნეოანგარიშიანი საპროექტო კანტორა,“ და შემდეგ როგორც ტექსტშია;

დაემატოს აღნიშნულ პუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცები:

„დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენს ახლად შექმნილი საპროექტო ჯგუფების მეთოდიკური ხელმძღვანელობა, შრომის გეგმების შედგენა და ფინანსური დაგეგმვა, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ აღნიშნული ჯგუფების გაერთიანების ორგანიზაცია, ახლად შექმნილი ჯგუფებისათვის ფონდების, მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა და მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაო სადგომების მიცემა.

გაერთიანება მოხდეს გასაერთიანებელი ჯგუფებისათვის დაწესებული ადმინისტრაციული სამმართველო აპარატის რიცხოვნობის, ხელფასის თვიური ფონდისა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახმშენის 1974 წლის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს, რომ 1974 წლის 1 იანვრიდან დამატებით გამოეყოს საქართველოს სსრ სახმშენს ორი საშტატო ერთეული: უფროსი ფინანსისტ-ეკონომისტისა და უფროსი ინჟინერ-ეკონომისტისა თვეში 140 მანეთი განაკვეთით თითოეულის ბიუჯეტზე მყოფ სხვა უწყებებში საშტატო ერთეულების შემცირების ხარჯზე".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 30 დეკემბერი, № 750

ინდექსი — 76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 за 1973 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IV-74 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆.
საბეჭდი თაბახი 4 სააღრიცხვო თაბახი 4

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 1014 უე 05412 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

65/101